უკრაინაში ომის დასრულების შესახებ მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესი და პერსპექტივები

ლიკა ხუციბერიძე[1]

უკრაინაში რუსეთის მიერ წარმოებული ომის შეწყვეტის შეთანხმების მცდელობები, რომლებიც, სამი წლის განმავლობაში, წარუმატებლად სრულდებოდა, ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა წინასაარჩევნო კამპანიაში თავისი უპირატესობის წარმოსაჩენად გამოიყენა და საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ საკითხად აქცია. CNN-ის თანახმად, ტრამპმა ინაუგურაციამდე მინიმუმ 53-ჯერ გააჟღერა დაპირება იმის შესახებ, რომ ოფისის დაკავებამდე ან გაპრეზიდენტებიდან 24 საათში, უკრაინაში ომს დაასრულებდა.[2] ტრამპის ინაუგურაცია 2025 წლის 20 იანვარს შედგა. მისთვის მალევე ცხადი გახდა, რომ უკრაინაში ომის დასრულება ბევრად მეტ დროს მოითხოვდა. გაპრეზიდენტებიდან 100 დღის შემდეგ, ჟურნალ Time-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, აშკარად გამოჩნდა ტრამპის შეცვლილი რიტორიკა. მისი თქმით, პირობა ოფისის დაკავების პირველივე დღეს უკრაინაში ომის დასრულების შესახებ, მეტაფორული გაზვიადება იყო და ხალხმა იცის, რომ 24 საათი ხუმრობით ითქვა. განსაკუთრებით საყურადღებოა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის, ტემი ბრიუსის, 1 მაისს გაკეთებული განცხადება. ბრიუსის თანახმად, აშშ-ის მიდგომა სამშვიდობო პროცესებისადმი იცვლება. ის მხარს დაუჭერს უკრაინაში ომის დასრულების მცდელობებს, თუმცა მოლაპარაკებებში, როგორც უშუალო მედიატორი, მონაწილეობას აღარ მიიღებს, რადგან ახლა საბოლოო სიტყვა უკრაინასა და რუსეთს ეკუთვნით.[3]

ორ თვეზე ხანგრძლივი მოლაპარაკებების პროცესი, რომელსაც აშშ რუსეთთან და უკრაინასთან ინდივიდუალურად, მესამე მხარის ჩართვის გარეშე, აწარმოებს, ჯერჯერობით საბოლოო მიზანს ვერ აღწევს. თუმცა პროცესმა გამოკვეთა გარკვეული კონტურები, თუ რა შედეგებია მოსალოდნელი და რა მოთხოვნები აქვთ დაინტერესებულ მხარეებს. მიუხედავად იმისა, რომ რთულია თქმა, როდის მიაღწევენ, ან საერთოდ მიაღწევენ თუ არა უკრაინა და რუსეთი სამშვიდობო შეთანხმებას აშშ-ის შუამავლობით, აღნიშნულ პროცესში უკრაინამ, ამერიკასთან

---

[1] Gnomon Wise-ის უმცროსი მკვლევარი. E-mail: l.khutsiberidze@ug.edu.ge

[2] Daniel Dale (April 25, 2025). Fact Check: It wasn't 'in jest.' Here are 53 times Trump said he'd end Ukraine war within 24 hours or before taking office. Via link https://edition.cnn.com/2025/04/25/politics/fact-check-trump-ukraine-war/index.html

[3] US Department of State (May 1, 2025). Department Press Briefing – May 1, 2025. Via link https://www.state.gov/briefings/department-press-briefing-may-1-2025/

ერთად, მნიშვნელოვანი სარგებელი მიიღო. 30 აპრილს აშშ-მა და უკრაინამ ხელი მოაწერეს დოკუმენტს „აშშ - უკრაინის აღდგენის საინვესტიციო ფონდის“ შექმნის შესახებ, რომელიც ე.წ. მინერალების შეთანხმების სახელითაა ცნობილი. ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილი ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმება, უკრაინის აღდგენის ფონდის დაფინანსების სანაცვლოდ, აშშ-ს უკრაინის მინერალებზე წვდომის უფლებას აძლევს. კიევის მიერ გავრცელებული დოკუმენტის ოფიციალურ ვერსიაში ჩანს, რომ უკრაინამ შეძლო შეთანხმებიდან ამოეღო სადავო პუნქტი, რომელიც აშშ-ისთვის ვალის დაბრუნებას შეეხებოდა. ასევე საუბარია იმაზე, რომ აღნიშნული შეთანხმება უზრუნველყოფს აშშ-ისა და სხვა ქვეყნების დახმარების გაგრძელებას, უკრაინისთვის რუსეთის წინააღმდეგ თავდაცვაში და აშშ მხარს უჭერს უკრაინის უსაფრთხოებას, კეთილდღეობას, აღდგენასა და გლობალურ ეკონომიკაში მის ინტეგრაციას.[4] მიუხედავად იმისა, რომ მასში კონკრეტული უსაფრთხოების გარანტიები მოცემული არაა, შეიძლება ითქვას, რომ მინერალების შეთანხმება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია უკრაინა - აშშ-ის პარტნიორობასა და ინტერესების დაახლოებაში.

წინამდებარე სტატია, პირველ რიგში, აღწერს სამშვიდობო შეთანხმებების არაოფიციალურ ვერსიებს, რომელთაგანაც ერთი შემუშავებულია აშშ-ის, მეორე კი - ევროპისა და უკრაინის მიერ. სტატია ასევე მიმოიხილავს, თუ როგორ ვითარდებოდა ტრამპის მიერ ინიციირებული სამშვიდობო მოლაპარაკებები და რა პოზიციები აქვთ მხარეებს ამ პროცესში.

აშშ-ის მიერ ინიციირებული სამშვიდობო შეთანხმების არაოფიციალური ვერსია

ტრამპის მიერ ინიციირებული გეგმა უკრაინაში ომის დასრულების შესახებ, ოფიციალურად საჯარო არ არის, თუმცა 22 აპრილს გამოცემა Telegraph-მა, ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია გეგმის სავარაუდო შვიდი პუნქტის შესახებ.

- პირველი და მეორე პუნქტის შინაარსი ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტასა და უკრაინასა და რუსეთს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყებას შეეხება;
- მესამე პუნქტი უკრაინისგან NATO-ში გაწევრიანებაზე უარის თქმას მოითხოვს, თუმცა ანიჭებს თავისუფლებას, შეუერთდეს ევროკავშირს;

[4] Kyiv Independent (May 1, 2025). The full text of the US, Ukraine minerals agreement. Via link https://kyivindependent.com/the-full-text-of-the-us-ukraine-minerals-agreement/

- მეოთხე პუნქტი შეეხება 2014 წელს ანექსირებულ ყირიმზე რუსეთის სუვერენიტეტის დე იურე აღიარებასა და ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის გადასვლას აშშ-ის კონტროლის ქვეშ;
- მეექვსე პუნქტის მიხედვით, უკრაინა ხელს აწერს მინერალების შესახებ შეთანხმებას, რომელიც აშშ-ს ქვეყნის ბუნებრივ რესურსებზე წვდომას აძლევს;
- მეშვიდე პუნქტი აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობების გადახედვას შეეხება - აშშ აუქმებს რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს და ორი ქვეყანა ენერგიის სფეროში თანამშრომლობას იწყებს.[5]

ტრამპის სავარაუდო გეგმის მიხედვით, რუკაზე ცვლილებები ასე გამოიყურება:

[5] David Blair, Joe Barnes and Connor Stringer (April 22, 2025). Trump to let Putin keep land seized from Ukraine. Via link https://www.telegraph.co.uk/world-news/2025/04/22/trumps-plan-to-let-putin-keep-land-seized-from-ukraine/



[6]

წყარო: Telegraph

ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით, მსგავსი ინფორმაცია გაავრცელა გამოცემა Axios-მაც. გამოცემის თანახმად, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პირობებისა, გეგმაში საუბარია, რომ უკრაინა მიიღებს „მძლავრ უსაფრთხოების გარანტიებს," რაშიც ჩართული იქნება ევროპის ქვეყნების სპეციალური ჯგუფი და ასევე, შესაძლოა თანამოაზრე არაევროპული ქვეყნებიც. დოკუმენტში ბუნდოვანია, თუ როგორ წარიმართება სამშვიდობო ოპერაცია და მასში არ არის ნახსენები ინფორმაცია პროცესში აშშ-ის ჩართულობის შესახებ. Axios-ის მიხედვით, გეგმაში ასევე საუბარია

[6] ქართულად ნათარგმნია Telegraph-ზე გამოქვეყნებული რუკის მიხედვით. ხელმისაწვდომია: https://www.telegraph.co.uk/world-news/2025/04/22/trumps-plan-to-let-putin-keep-land-seized-from-ukraine/

ფინანსურ ანაზღაურებასა და ქვეყნის აღდგენაში დახმარების გაწევაზე, თუმცა არ არის დასახელებული, თუ რა იქნება დაფინანსების წყარო.[7]

25 აპრილს გამოცემა Reuters-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მიიღო წვდომა აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის, სტივ ვიტკოფის, მიერ 17 აპრილს პარიზში ევროპელებისთვის წარდგენილი სამშვიდობო გეგმის სრულ ტექსტზე. Reuters-ის მიერ გამოქვეყნებული გეგმა ემთხვევა Telegraph-ისა და Axios-ის მიერ გამოქვეყნებულ პუნქტებს და მოიცავს რამდენიმე ახალ დეტალს. კერძოდ, ზემოაღნიშნულ პუნქტებთან ერთად, უკრაინა იბრუნებს ტერიტორიას ხარკოვის ოლქში და აღადგენს კონტროლს კახოვკის კაშხალსა და კინბურნის ნახევარკუნძულზე. რაც მთავარია, Reuters-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აშშ-ის მიერ ინიციირებული პირობები ორივე მხარისთვის საბოლოო შეთავაზებაა.[8] თუმცა არის, თუ - არა პირობები საბოლოო, განსხვავებულად ხედავენ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო და ვიცე-პრეზიდენტი ჯეი დი ვენსი. რუბიოს 18 აპრილს გაკეთებული კომენტარის თანახმად, შეთავაზებები „ფართო ჩარჩოა“ იმის დასადგენად, თუ რა განსხვავებებია მხარეთა შორის. ვენსის თანახმად კი, აშშ-მა ორივე მხარეს ძალიან მკაფიო შეთავაზებები წარუდგინა და ან დროა, შეთანხმებას მიაღწიონ, ან ვაშინგტონი სამშვიდობო გეგმის მიღწევის ძალისხმევას შეწყვეტს.[9]

ამრიგად, ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით გავრცელებული აშშ-ის გეგმის თანახმად, უკრაინა დიდ ტერიტორიულ დანაკარგებს იღებს - რუსეთი ოფიციალურად გააკონტროლებს ყირიმს, უმეტეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კი - დონეცკში, ლუჰანსკში, ხერსონსა და ზაპოროჟიეში - აშშ რუსეთის დე ფაქტო კონტროლს თანხმდება. აღნიშნული დათმობა არღვევს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და ქმნის პრეცედენტს, ლეგიტიმაცია მიეცეს სახელმწიფოთა საზღვრების შეცვლას საერთაშორისო სამართლის დარღვევით. უკრაინა, მოცემული გეგმით, მხოლოდ მცირე ტერიტორიას იბრუნებს, დამატებით კი უწევს უარის თქმა NATO-ზე მაშინ, როცა აშშ-ისგან მკაფიო უსაფრთხოების გარანტიებს ვერ იღებს.

---

[7] Barak Ravid (April 22, 2025). Trump's "final offer" for peace requires Ukraine to accept Russian occupation. Via link https://www.axios.com/2025/04/22/trump-russia-ukraine-peace-plan-crimea-donbas

[8] Reuters (April 25, 2025). Ukraine peace deal proposals set out by US at talks in Paris. Ukraine peace deal proposals set out by US at talks in Paris. Via link https://www.reuters.com/world/ukraine-peace-deal-proposals-set-out-by-us-talks-paris-2025-04-25/

[9] Reuters (April 25, 2025). Exclusive: Documents expose differences over U.S. peace drive for Ukraine. Exclusive: Documents expose differences over U.S. peace drive for Ukraine. Via link https://www.reuters.com/world/documents-show-differences-over-us-peace-drive-ukraine-2025-04-25/

ევროპისა და უკრაინის მიერ ინიციირებული სამშვიდობო შეთანხმების არაოფიციალური ვერსია

ტრამპის სავარაუდო გეგმის არაოფიციალური გასაჯაროებიდან 3 დღეში, 25 აპრილს, გამოცემა Reuters-მა გამოაქვეყნა კიდევ ერთი სამშვიდობო გეგმა, ამჯერად ევროპისა და უკრაინის მიერ შემუშავებული, რომელიც აშშ-ს 23 აპრილს ლონდონში გამართულ შეხვედრაზე გადაეცა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრას მარკო რუბიო არ დაესწრო, თუმცა მასში მონაწილეობდა აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი კიტ კელოგი. აღნიშნულ გეგმაში გამოყოფილია შემდეგი პუნქტები:[10]

ცეცხლის შეწყვეტა

- სრული და უპირობო ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულება ცაში, ხმელეთსა და ზღვაზე;
- ორივე მხარე დაუყოვნებლივ იწყებს მოლაპარაკებებს [ცეცხლის შეწყვეტის] განხორციელების ტექნიკური დეტალების შესახებ, აშშ-ისა და ევროპული ქვეყნების მონაწილეობით. ამის პარალელურად, მზადდება სრული სამშვიდობო შეთანხმების დღის წესრიგი და ფორმალობები;
- ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგი, რომელსაც ხელმძღვანელობს აშშ და მხარს უჭერენ მესამე ქვეყნები;
- რუსეთმა უპირობოდ უნდა დააბრუნოს ყველა დეპორტირებული და დევნილი უკრაინელი ბავშვი. ყველა სამხედრო ტყვე უნდა გაიცვალოს („ყველა ყველასთვის“ პრინციპით). რუსეთმა უნდა გაათავისუფლოს ყველა სამოქალაქო პატიმარი.

უსაფრთხოების გარანტიები უკრაინისთვის

- უკრაინა მიიღებს მძლავრ უსაფრთხოების გარანტიებს, მათ შორის, აშშ-ისგან (NATO-ს მე-5 მუხლის მსგავსი შეთანხმება), მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეებს შორის არ არსებობს თანხმობა NATO-ს წევრობაზე;
- არანაირი შეზღუდვა უკრაინის თავდაცვის ძალებზე;

[10] Reuters (April 25, 2025). Ukrainian and European peace deal counterproposals to US at talks in London. Via link https://www.reuters.com/world/ukrainian-european-peace-deal-counterproposals-us-talks-london-2025-04-25/

- გარანტორი იქნება ევროპული ქვეყნებისა და მსურველი არაევროპული ქვეყნებისგან შექმნილი სპეციალური χგუფი. არანაირი შეზღუდვა უკრაინის ტერიტორიაზე მეგობარი უცხოური ძალების ყოფნაზე, იარაღსა და ოპერაციებზე.
- უკრაინა განაგრძობს ევროკავშირში გაწევრიანებისკენ სწრაფვას.

ტერიტორიები

- ტერიტორიული საკითხები განიხილება და გადაწყდება სრული და უპირობო ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ;
- ტერიტორიის შესახებ მოლაპარაკებები დაიწყება მხარეების მიერ ამჟამად კონტროლირებადი ტერიტორიების მიხედვით;
- უკრაინა აღადგენს ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურისა და კახოვკის კაშხლის კონტროლს აშშ-ის ჩართულობით;
- უკრაინას აქვს შეუზღუდავი წვდომა მდინარე დნეპრზე და აკონტროლებს კინბურნის ნახევარკუნძულს.

ეკონომიკა

- აშშ და უკრაინა ახორციელებენ ეკონომიკურ თანამშრომლობას/მინერალების შეთანხმებას;
- უკრაინა აღდგება სრულად და მიიღებს ფინანსურ ანაზღაურებას, მათ შორის, რუსეთის სუვერენული აქტივებით, რომლებიც გაყინული დარჩება მანამ, სანამ რუსეთი უკრაინისთვის მიყენებულ ზიანს არ აანაზღაურებს.
- „აშშ-ის მიერ რუსეთისთვის 2014 წლიდან დაწესებული სანქციები შესაძლოა ეტაპობრივად შემსუბუქდეს მდგრადი მშვიდობის მიღწევის შემდეგ, მაგრამ ისევ აღდგეს, თუ სამშვიდობო შეთანხმება დაირღვევა.

განსხვავება აშშ-ისა და ევროპა - უკრაინის მიერ შემუშავებულ გეგმებს შორის

ევროპისა და უკრაინის მიერ ერთობლივად შემუშავებული სამშვიდობო გეგმა განსხვავდება აშშ-ის მიერ ინიციირებული გეგმისგან. კერძოდ, აშშ-ის გეგმის თანახმად, რუსეთი ანექსირებულ ყირიმზე - დე იურე, ხოლო უკრაინის სამხრეთ და აღმოსავლეთ ოკუპირებულ რეგიონებზე დე ფაქტო კონტროლს იღებს. ევროპისა და უკრაინის მიერ შეთავაზებული გეგმით კი, ტერიტორიების საკითხების განხილვა გათვალისწინებულია ცეცხლის სრულად შეწყვეტის შემდეგ, ხოლო უკრაინის რომელიმე ტერიტორიაზე რუსეთის კონტროლი საერთოდ ნახსენები არაა. ზელენსკიმ განაცხადა, რომ ყირიმს რუსეთის ნაწილად არ აღიარებს, რაზეც ტრამპმა უპასუხა: „ყირიმი რუსეთთან დარჩება. ზელენსკის და ყველას ესმის, რომ ის [ყირიმი] უკვე დიდი ხანია მათთანაა [რუსეთთან].“[11]

აშშ-ის გეგმა უკრაინას ასევე ჰპირდება უსაფრთხოების მძლავრ გარანტიებს, რასაც ევროპული და სხვა მეგობრული ქვეყნები უზრუნველყოფენ, თუმცა აშშ-ს გარანტორად არ ასახელებს და მეტიც, უკრაინის მიერ NATO-ში გაწევრიანებაზე უარის თქმას აინიციირებს. აღნიშნული პუნქტი საინტერესოა იმით, რომ აშშ-მა გეგმა ევროპისა და უკრაინის პირდაპირი ჩართულობის გარეშე შეიმუშავა, უკრაინაში უსაფრთხოების გარანტად კი „ევროპელ და სხვა მეგობრულ ქვეყნებს“ ასახელებს. თავის მხრივ, ევროპისა და უკრაინის გეგმაში ნათქვამია, რომ უკრაინისა და მისი მოკავშირეების შეიარაღებულ ძალებზე (უკრაინის ტერიტორიაზე განთავსების შემთხვევაში) შეზღუდვა არ ვრცელდება, აშშ-ის მხრიდან კი უკრაინა, NATO-ს მეხუთე მუხლის მსგავსი შეთანხმების ფარგლებში, უსაფრთხოების გარანტიებს მიიღებს.[12] ამ შემთხვევაშიც, გეგმაში, რომელიც აშშ-ის ჩართულობის გარეშე ჩამოყალიბდა, უსაფრთხოების ერთ-ერთ გარანტად, ევროპასთან ერთად, გამოცხადებულია აშშ. მხარეებზე პასუხისმგებლობების ამგვარი დაკისრება მიუთითებს მოლაპარაკებების პროცესებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე, რომლებიც განპირობებულია კონსულტაციებისა და მხარეების პირდაპირი ჩართულობის ნაკლებობით.

რაც შეეხება სანქციებს, აშშ-ის გეგმის თანახმად, რუსეთისთვის დაწესებული სანქციები მას შემდეგ გაუქმდება, რაც მხარეები სამშვიდობო შეთანხმებას მიაღწევენ, ევროპისა და უკრაინის გეგმა კი, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უფრო მკაფიოა - სანქციები არა - პირდაპირ, არამედ ეტაპობრივად შემსუბუქდება, თუ რუსეთი სამშვიდობო შეთანხმების პირობებს არ

[11] Reuters (April 25, 2025). Exclusive: Documents expose differences over U.S. peace drive for Ukraine. Exclusive: Documents expose differences over U.S. peace drive for Ukraine. Via link https://www.reuters.com/world/documents-show-differences-over-us-peace-drive-ukraine-2025-04-25/
[12] ibid

დაარღვევს. აღნიშნული დოკუმენტი ასევე გვთავაზობს, რომ უკრაინა, ომის შედეგად მიყენებული ზიანისთვის, მიიღებს ფინანსურ ანაზღაურებას რუსეთის საზღვარგარეთ გაყინული აქტივებიდან. აშშ-ის ტექსტი კი მხოლოდ იმას ამბობს, რომ უკრაინას ზიანი აუნაზღაურდება, თუმცა გეგმა ფინანსების წყაროს არ ასახელებს.[13]

1-ელ მაისს კიტ კელოგის მიერ Fox News-ისთვის მიცემული ინტერვიუდან ცნობილი გახდა, რომ 23 აპრილს ლონდონში გამართულ მოლაპარაკებებზე ვაშინგტონი და კიევი 22 კონკრეტულ პირობაზე შეთანხმდნენ. მისი თქმით, უკრაინას მინიმუმ 30 დღით სურს „ყოვლისმომცველი და მუდმივი ცეცხლის შეწყვეტა“, „ყოვლისმომცველში“ კი იგულისხმება საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, კელოგის თანახმად, უკრაინა ფრონტის ამჟამინდელი ხაზის მიხედვით ტერიტორიების დათმობებზე თანახმაა, თუმცა არა - დე იურე, არამედ დე ფაქტო.[14] აღნიშნული ინფორმაცია აჩენს მოლოდინს, რომ სამშვიდობო შეთანხმება უკრაინაში რუსეთის ომის დასრულების შესახებ აშშ-ისა და ევროპა - უკრაინის მიერ ინიციირებული გეგმების შეჯერების შედეგად შემუშავდება.

რა ეტაპები გაიარა მოლაპარაკებებმა სამშვიდობო შეთანხმებების შემუშავებამდე

აშშ-ის მხრიდან პირველი ქმედითი ნაბიჯები სამშვიდობო მოლაპარაკებებთან დაკავშირებით გადაიდგა 12 თებერვალს, როდესაც ტრამპი სატელეფონო ზარით ჯერ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ესაუბრა, შემდეგ კი - უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის.[15] პირისპირი, ინდივიდუალური მოლაპარაკებები საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში დაიწყო - 15 თებერვალს აშშ-ის ოფიციალური პირები, მათ შორის, სახელმწიფო მდივანი მარკო რუბიო, რუს კოლეგებს შეხვდნენ, რითაც გაიხსნა ოფიციალური მოლაპარაკებები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.[16] თუმცა 17 თებერვალს კიევმა და ევროპელმა მოკავშირეებმა, რომლებიც გამორიცხული იყვნენ აშშ - რუსეთის მოლაპარაკებებიდან, გამოთქვეს შეშფოთება და პარიზში

[13] Ibid
[14] Fox News (May 1, 2025). People don't understand how 'violent' the Russia-Ukraine war has been: Lt. Gen. Keith Kellogg. Via link https://www.foxnews.com/video/6372129037112
[15] Kaitlan Collins and Kevin Liptak (February 12, 2025). After Putin call, Trump says negotiations to end Ukraine war will start ‘immediately’. Via link https://edition.cnn.com/2025/02/12/politics/putin-trump-phone-call/index.html
[16] Betsy Klein, Samantha Waldenberg, Jennifer Hansler and Mariya Knight (February 15, 2025). Top Trump officials set to meet with senior Russian officials to begin Ukraine talks. Via link https://edition.cnn.com/2025/02/15/politics/russia-ukraine-peace-talks-trump-officials/index.html

გამართეს ევროპელი და NATO-ს ლიდერების საგანგებო სამიტი.[17] მას შემდეგ, რაც ზელენსკიმ უკრაინის გარეშე სამშვიდობო გეგმის შემუშავება უარყოფითად შეაფასა, ის ტრამპმა საჯაროდ გააკრიტიკა.[18] მსგავსი რიტორიკა იგრძნობოდა 18 თებერვალს, აშშ - რუსეთის მორიგი შეხვედრის შემდეგ, რუბიოს მიერ გაკეთებულ კომენტარშიც. კითხვაზე, თუ როგორ უპასუხებდა ევროპისა და უკრაინის უკმაყოფილებას მათი პროცესებს მიღმა დატოვების შესახებ, რუბიომ უპასუხა, რომ სამწელიწად-ნახევრის განმავლობაში მიმდინარე კონფლიქტთან მიმართებით, სხვამ ვერავინ შეძლო ის, რაც ტრამპმა მოახერხა, რადგან ის ერთადერთია მსოფლიოში ვისაც ეს [მოლაპარაკებების ინიციირება] შეუძლია, ამიტომ პროცესებს მიღმა არავინაა დატოვებული.[19]

დაძაბულობა განსაკუთრებით გაიზარდა 28 თებერვალს, როდესაც ზელენსკი აშშ-ში ე.წ. მინერალების შესახებ შეთანხმების ხელმოსაწერად ჩავიდა, მაგრამ შეხვედრა ტრამპთან და ვიცე-პრეზიდენტ ჯეი დი ვენსთან ცნობილ საჯარო კამათში გადაიზარდა.[20] აღნიშნული ვიზიტის დროს მინერალების შესახებ შეთანხმებას ხელი არ მოეწერა, რის შემდეგაც აშშ-მა უკრაინისთვის სამხედრო დახმარებისა და დაზვერვის ინფორმაციის გაზიარება შეაჩერა.[21]

ვაშინგტონში გამართული შეხვედრის შემდეგ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა კირ სტარმერმა, უკრაინის საკითხის შესახებ გამართულ შეხვედრაზე, უკრაინის, ევროპული ქვეყნების, ევროკომისიის, ევროპული საბჭოსა და NATO-ს ლიდერებს უმასპინძლა. დისკუსიის დასასრულს სტარმერმა „მსურველთა კოალიციის“ დაბადება გამოაცხადა[22], რაც, შეიძლება

[17] Christian Edwards, Helen Regan, Michael Rios and Lauren Kent February 17, 2025). Barred from US-Russia talks on Ukraine, Europe scrambles for response with Paris summit. Via link https://edition.cnn.com/2025/02/17/europe/europe-ukraine-summit-paris-trump-intl-hnk/index.html

[18] Ivana Kottasová and Jennifer Hansler (February 18, 2025). US and Russia to appoint teams to negotiate end of Ukraine war in talks that excluded Kyiv. Via link https://edition.cnn.com/2025/02/18/europe/us-russia-riyadh-talks-intl/index.html

[19] US Department of State (February 18, 2025). Secretary of State Marco Rubio, National Security Advisor Mike Waltz, and Special Envoy to the Middle East Steve Witkoff with Jennifer Hansler of CNN and Matthew Lee of the Associated Press. Via link https://www.state.gov/secretary-of-state-marco-rubio-national-security-advisor-mike-waltz-and-special-envoy-to-the-middle-east-steve-witkoff-with-jennifer-hansler-of-cnn-and-matthew-lee-of-the-associated-press/#:~:text=SECRETARY%20RUBIO%3A%20Well%2C%20sanctions%20are,to%20predetermine%20what%20those%20are.

[20] Kevin Liptak and Jeff Zeleny (March 1, 2025). Inside the 139 minutes that upended the US-Ukraine alliance. Via link https://edition.cnn.com/2025/03/01/politics/inside-trump-zelensky-meeting/index.html

[21] Katie Bo Lillis, Jim Sciutto, Zachary Cohen and Natasha Bertrand (March 5, 2025). Trump officials say US paused intelligence sharing with Ukraine but signal it may not last long after fiery meeting. Via link https://edition.cnn.com/2025/03/05/politics/us-pause-intelligence-support-ukraine/index.html

[22] Vicky Wong (March 3, 2025). Starmer announces 'coalition of the willing' to guarantee Ukraine peace. Via link https://www.bbc.com/news/articles/c9vygkzkkrvo

ითქვას, რომ კიდევ ერთი პასუხი იყო აშშ-ის მიერ, ევროპისა და უკრაინის ჩართულობის გარეშე, რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყებაზე.

რამდენიმე დღის შემდეგ ზელენსკიმ განაცხადა, რომ ოვალურ ოფისში შეხვედრა გეგმის მიხედვით არ წარიმართა და მზადაა, მინერალების შეთანხმებას ხელი მოაწეროს. ასევე, საუდის არაბეთში აშშ - უკრაინას შორის გამართული მოლაპარაკებების შემდეგ, ზელენსკი დაეთანხმა აშშ-ის მიერ ინიციირებულ წინადადებას ცეცხლის 30-დღიანი შეწყვეტის შესახებ, რამაც აშშ-ს უკრაინისთვის სამხედრო და სადაზვერვო მხარდაჭერის აღდგენისკენ უბიძგა.[23] ცეცხლის 30-დღიანი შეწყვეტის წინადადებას რუსეთი ჯერ მიესალმა, თუმცა შემდეგ მოთხოვნები წამოაყენა - უკრაინამ 30 დღის განმავლობაში შეაჩეროს შეიარაღება და ჯარის მობილიზაცია, მოკავშირეებმა შეწყვიტონ სამხედრო დახმარების მიწოდება.[24] აღნიშნული პირობების წამოყენება მოწმობს, რომ რუსეთის ინტერესებშია არა შეთანხმების დროულად მიღწევა, არამედ პროცესის გაჭიანურება თავის სასარგებლოდ.

18 მარტს ტრამპი პუტინს ტელეფონით კვლავ ესაუბრა. ამ საუბრის შემდეგ, აშშ-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რუსეთი უკრაინის „ენერგეტიკულ და ინფრასტრუქტურულ სამიზნეებზე“ თავდასხმებს დროებით შეაჩერებდა, თუმცა რუსეთმა განაცხადა, რომ ისინი „ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე“ თავდასხმის შეჩერებაზე შეთანხმდნენ.[25] აღნიშნული შეთანხმების მიუხედავად, 21 მარტს რუსეთის დრონებმა უკრაინის საპორტო ქალაქ ოდესას დარტყმა მიაყენეს.[26] საუდის არაბეთში მოლაპარაკებების კიდევ ერთი რაუნდის მერე, აშშ-მა განაცხადა, რომ უკრაინა და რუსეთი შეთანხმდნენ შავ ზღვაში უსაფრთხო მიმოსვლის უზრუნველყოფაზე, ძალის გამოყენებაზე უარის თქმასა და კომერციული გემების სამხედრო მიზნებისთვის გამოყენების შეზღუდვაზე. თუმცა რუსეთმა შეთანხმების შესასრულებლად კიდევ ახალი პირობა წამოაყენა - უნდა მოხსნილიყო მის ბანკებსა და ექსპორტზე დაწესებული სანქციები.[27] 27 მარტს

[23] Ivana Kottasová, Lauren Kent, Alex Marquardt and Jennifer Hansler (March 12, 2025). Ukraine agrees to proposal for ceasefire with Russia as US restores aid and intel sharing. Via link https://edition.cnn.com/2025/03/11/world/ukraine-us-talks-saudi-arabia-intl/index.html

[24] Pjotr Sauer, Shaun Walker and Andrew Roth (March 14, 2025). Putin questions Ukraine ceasefire plan and sets out string of conditions. Via link https://www.theguardian.com/world/2025/mar/13/russia-wary-of-proposed-ukraine-ceasefire-plan-as-us-talks-begin

[25] Alayna Treene, Kevin Liptak, Alex Marquardt and Jennifer Hansler (March 19, 2025). After call with Trump, Putin agrees to pause attacks on Ukraine's energy and infrastructure targets. Via link https://edition.cnn.com/2025/03/18/politics/trump-putin-ceasefire-russia-ukraine-war/index.html

[26] Edward Szekeres (March 21, 2025). Ukraine port city 'on fire' after 'massive' Russian attack as Trump projects optimism ahead of peace talks. Via link https://edition.cnn.com/2025/03/21/europe/ukraine-russia-odesa-fire-trump-intl-hnk/index.html

[27] Jake Lapham and James Landale (March 26, 2025). Russia says sanctions must be lifted before Ukraine maritime ceasefire can start. Via link https://www.bbc.com/news/articles/c93n05z48ldo

პარიზში გამართული შეხვედრის შემდეგ, ევროპელი ლიდერები შეთანხმდნენ, რომ რუსეთისთვის სანქციების მოხსნის დრო არ იყო.[28]

28 მარტს ქალაქ დნიპროზე რუსეთის თავდასხმამ სამოქალაქო პირები იმსხვერპლა. რუსეთი და უკრაინა ერთმანეთს ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმების დროებით შეჩერებაზე შეთანხმების დარღვევაში ადანაშაულებდნენ.[29] ამავე დროს, პუტინმა კიდევ ერთხელ დააყენა დღის წესრიგში ბრალდება პრეზიდენტ ზელენსკის არალეგიტიმურობის შესახებ და საკითხის მოსაგვარებლად, მოითხოვა უკრაინაში არჩევნების ჩატარება გაეროს ზედამხედველობით. აღნიშნული შეთავაზება მიუღებლად მიიჩნიეს გაერომ და ევროპელმა ლიდერებმა.[30] ტრამპმა პუტინის ამ ბრალდების შემდეგ განაცხადა, რომ „გაბრაზებულია“ რუსეთზე და თუ უკრაინაში სისხლისღვრის დასრულებაზე [რაც, ტრამპის თქმით, რუსეთის ბრალია] შეთანხმებას მალე არ მიაღწევენ, რუსულ ნავთობზე მეორეულ სანქციებს დააწესებს.[31]

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგეი რიბაკოვმა 1 აპრილს განაცხადა, რომ ამერიკის მიერ შეთავაზებულ პირობებს სერიოზულად ეკიდებიან, თუმცა ყველა მათგანს არსებული ფორმით ვერ მიიღებენ. მისი თქმით, მათი მთავარი მოთხოვნა, კერძოდ, „კონფლიქტის საფუძვლებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება“, აშშ-ის მიერ შეთავაზებულ გეგმაში არ არის. პუტინის განცხადებების მიხედვით, რუსეთის მხრიდან წამოყენებული პირობები უკრაინის მიერ NATO-ში გაწევრიანებაზე უარის თქმას, ყირიმის დე იურე აღიარებას, უკრაინის ოთხ რეგიონზე სრული კონტროლის აღებასა და უკრაინული არმიის ზომის შეზღუდვას შეეხება. კიევმა აღნიშნულ პირობებს მიუღებელი და რუსეთის მხრიდან უკრაინის კაპიტულაციის მოთხოვნა უწოდა.[32]

2, 3 და 12 აპრილს აშშ-სა და რუსეთს შორის პირდაპირი მოლაპარაკებების კიდევ რამდენიმე რაუნდი გაიმართა, თუმცა კვლავ უშედეგოდ, რადგან რუსეთი ცეცხლის სრულად შეწყვეტის

[28] Lauren Kent, Niamh Kennedy and Daria Tarasova-Markina (March 28, 2025). European leaders say now not the time to lift sanctions on Russia in clear message to Trump. Via link https://edition.cnn.com/2025/03/27/world/russia-sanctions-europe-ukraine-intl/index.html

[29] Jaroslav Lukiv (March 29, 2025). Four killed in mass Russian drone attack on Dnipro, Ukraine says. Via link https://www.bbc.com/news/articles/ckgdgxql6vpo

[30] DW (March 28, 2025). Ukraine updates: Putin suggests UN administration of Ukraine. Via link https://www.dw.com/en/ukraine-updates-putin-suggests-un-administration-of-ukraine/live-72065497

[31] Kristen Welker and Megan Lebowitz (March 30, 2025). Trump says he's 'very angry' and 'pissed off' at Putin during an NBC News interview. Via link https://www.nbcnews.com/politics/donald-trump/trump-angry-putin-zelenskyy-iran-sanctions-rcna198729

[32] Andrew Osborn (April 1, 2025). Russia says it cannot accept U.S. proposals on Ukraine 'in current form'. Via link https://www.reuters.com/world/europe/trump-threatens-secondary-sanctions-russia-kremlin-says-it-is-continuing-talk-us-2025-04-01/

პირობებს არ დაეთანხმა. მიუხედავად ამისა, ტრამპმა მოლაპარაკებების პროცესი დადებითად შეაფასა და მხარეებს მოქმედებისკენ მოუწოდა.[33] 19 აპრილს პუტინმა, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, გამოაცხადა ცეცხლის შეწყვეტა 30 საათის განმავლობაში, რასაც ზელენსკი სკეპტიკურად შეხვდა, თუმცა აღნიშნა, რომ, თუ რუსეთი ცეცხლს არ გახსნიდა, უკრაინაც ასევე მოიქცეოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თავადაც უპასუხებდა.[34] მიუხედავად პირობისა, უკრაინის თანახმად, 30-საათიანი ცეცხლის შეწყვეტის პირობა რუსეთმა 3 000-ჯერ დაარღვია, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიხედვით კი, მათ უკრაინის ასობით დრონის მოგერიება მოუხდათ.[35] რუსეთის მიერ მოკლევადიანი ზავის გამოცხადება და მისი ისე დარღვევა, რომ ბრალეულობა უკრაინაზე გადასულიყო, ააშკარავებს კრემლის განზრახვას, გაჭიანურდეს სამშვიდობო ზავის მიღების პროცესი და ტრამპის ადმინისტრაცია აღნიშნული მოლაპარაკებებიდან გავიდეს.

განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო 26 აპრილს ტრამპისა და ზელენსკის 15-წუთიანმა შეხვედრამ რომის პაპის დაკრძალვის ცერემონიაზე. ოვალურ კაბინეტში გამართული მოლაპარაკებების შემდეგ, პრეზიდენტებმა პირისპირ პირველად ისაუბრეს. ზელენსკიმ შეხვედრა დადებითად შეაფასა და ხაზი გაუსვა სრულ და უპირობო ცეცხლის შეწყვეტის აუცილებლობას. თუმცა არ უთქვამს, რომ თანახმაა აშშ-ის მიერ შეთავაზებული გეგმის პირობებზე. ტრამპმა, ცერემონიის დასრულების შემდეგ, ბოლოდროინდელი სარაკეტო თავდასხმებისთვის პუტინი კიდევ ერთხელ გააკრიტიკა და განაცხადა, რომ შესაძლოა მას ომის დასრულება არ სურს და მასთან საბანკო და მეორეული სანქციების გზით მოპყრობაა სწორი.[36]

28 აპრილს პუტინმა უკრაინასთან წინაპირობების გარეშე მოლაპარაკებების დაწყებაზე თანხმობა გამოთქვა და კიდევ ერთხელ გამოაცხადა ცეცხლის მოკლევადიანი შეწყვეტა, ამჯერად 8-იდან 11 მაისამდე. 9 მაისს რუსეთი მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების წლისთავს ზეიმობს, რაც, როგორც წესი, მასშტაბური აღლუმებითა და ძალის დემონსტრირებით აღინიშნება. უკრაინამ რუსეთის ამ წინადადებას მანიპულაცია უწოდა, რაც მიზნად აშშ-ის მოტყუებას ისახავს,

[33] Jeff Mason (April 13, 2025). Trump says Ukraine talks may be going OK, but there is a time 'to put up or shut up'. Via link https://www.reuters.com/world/europe/russias-lavrov-praises-trumps-understanding-ukraine-conflict-2025-04-12/

[34] Kosta Gak, Catherine Nicholls, Victoria Butenko and Ivana Kottasová (April 20, 2025). Putin declares brief ‘Easter truce’ but Ukraine says Russian attacks continue. Via link https://edition.cnn.com/2025/04/19/europe/russia-ukraine-war-easter-truce-intl/index.html

[35] Lucy Clarke-Billings and Jaroslav Lukiv (April 21, 2025). Ukraine and Russia report fighting as 'Easter truce' ends. Via link https://www.bbc.com/news/articles/czd3ge7j92zo

[36] Barak Ravid (April 26, 2025). Trump threatens Putin with new sanctions after meeting with Zelensky. Via link https://www.axios.com/2025/04/26/trump-zelensky-pope-funeral-meeting

თითქოს რუსეთს მშვიდობა სურს. ზელენსკიმ კიდევ ერთხელ შეახსენა რუსეთს, რომ ისინი მზად არიან ცეცხლის ხანგრძლივი შეწყვეტისთვის, მინიმუმ 30 დღით, რასაც რუსეთი არ ეთანხმება.[37]

მხარეების პოზიციათა შეჯამება და მოლოდინები

2025 წლის მაისის დასაწყისისთვის, აშშ-ის ხელმძღვანელობით რუსეთსა და უკრაინასთან მიმდინარე მოლაპარაკებების შემდეგ, საბოლოო შეთანხმება ჯერ არ მიღწეულა, თუმცა პროცესმა დაინტერესებული მხარეების - უკრაინის, რუსეთის, აშშ-ისა და ევროპის - ძირითადი პოზიციები გამოავლინა. აშშ-ის მიერ ინიციირებული სამშვიდობო გეგმა, რომელიც ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით ვრცელდება, ითვალისწინებს დაუყოვნებლივ ცეცხლის შეწყვეტას, უკრაინასა და რუსეთს შორის პირდაპირ მოლაპარაკებებს, უკრაინის მიერ NATO-ში გაწევრიანებაზე უარის თქმას, ყირიმზე აშშ-ის მიერ რუსეთის სუვერენიტეტის აღიარებას, უკრაინის ოთხი რეგიონის დე ფაქტო აღიარებას, ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის აშშ-ის კონტროლქვეშ გადასვლასა და აშშ-ისთვის უკრაინის მინერალებზე წვდომის უფლებას. ის ასევე მოიცავს რუსეთისთვის სანქციების მოხსნას და აშშ-რუსეთის ენერგეტიკული თანამშრომლობის დაწყებას. თუმცა, ეს გეგმა მნიშვნელოვნად არღვევს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, რადგან მცირე ტერიტორიების უკრაინისთვის დაბრუნების სანაცვლოდ, ლეგიტიმაციას აძლევს რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართლის დარღვევით ტერიტორიების მითვისების პრეცედენტს. ასევე აღნიშნული გეგმა უკრაინას მხოლოდ ბუნდოვან უსაფრთხოების გარანტიებს სთავაზობს, ისიც, ძირითადად, ევროპული ქვეყნებისგან და არა - აშშ-ისგან. ამრიგად, მაშინ, როდესაც უკრაინას უარის თქმა უწევს უსაფრთხოების მთავარ გარანტ NATO-ზე, აშშ კი უსაფრთხოების კონკრეტულ პირობებს არ სთავაზობს, ამასთან აშშ ყირიმის დე იურე აღიარებასაც აპირებს, უკრაინისთვის ამგვარი გეგმა მიუღებელია (თუმცა, როგორც კელოგის მიერ გავრცელებული უახლესი ინფორმაცია მოწმობს, უკრაინა ოკუპირებული ტერიტორიების დე ფაქტო აღიარებაზე თანახმაა.)

ამის საპირისპიროდ, ევროკავშირისა და უკრაინის მიერ წარდგენილი სამშვიდობო გეგმა ხაზს უსვამს ცეცხლის სრულ და უპირობო შეწყვეტას, რისი გარანტორიც აშშ იქნება. ასევე მასში შემოთავაზებულია პუნქტი, რომლის თანახმადაც, აშშ და ევროპელი მოკავშირეები უკრაინას

[37] Darya Tarasova, Daria Tarasova-Markina, Edward Upright and Sana Noor Haq (March 29, 2025). After Putin calls for three-day ceasefire, Trump reiterates demand for permanent Ukraine truce. Via link https://edition.cnn.com/2025/04/28/europe/putin-announces-ceasefire-may-intl/index.html?iid=cnn_buildContentRecirc_end_recirc

სთავაზობენ NATO-ს მე-5 მუხლის მსგავს თავდაცვას. გეგმა პრიორიტეტს ანიჭებს დეპორტირებული უკრაინელი ბავშვების დაბრუნებას, ტყვეების გაცვლასა და უკრაინის სამხედრო ძალებზე ან უცხოური ჯარების ყოფნაზე შეზღუდვების არარსებობას. რაც მთავარია, აღნიშნული გეგმა ტერიტორიული საკითხების განხილვას ცეცხლის სრული შეწყვეტის შემდეგ ითვალისწინებს. პუნქტის ამგვარი ფორმულირება, აშშ-ის გეგმისგან განსხვავებით, უზრუნველყოფს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას - არ უშვებს უკრაინის რომელიმე ტერიტორიაზე რუსეთის სუვერენიტეტის დე იურე ან დე ფაქტო აღიარებას. ევროპისა და უკრაინის მიერ წარდგენილი გეგმა მხარს უჭერს უკრაინის აღდგენას რუსეთის გაყინული აქტივებით და სანქციების მხოლოდ ეტაპობრივად მოხსნას, აშშ-ისგან განსხვავებით, რომელიც გეგმაზე შეთანხმებისთანავე სანქციების მოხსნას ითვალისწინებს. ევროპისა და უკრაინის მიერ შემოთავაზებული გეგმა უფრო მეტად შეესაბამება უკრაინის ინტერესებს, თუმცა წინააღმდეგობას აწყდება რუსეთისგან, რომელიც წინააღმდეგია, უარი თქვას ყირიმის დე იურე და დანარჩენი ოთხი რეგიონის დე ფაქტო აღიარებაზე. მოლაპარაკებებმა ასევე აჩვენა, რომ რუსეთის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა უკრაინის დემილიტარიზაცია და სამხედრო დახმარების შეწყვეტაა.

როგორც უკვე აღინიშნა, ორივე გეგმა მხარეთა ჩართულობის გარეშეა მიღებული, რაც კიდევ უფრო ზრდის ალბათობას, რომ პუნქტებში გაწერილ ვალდებულებებზე დათანხმება რთული იქნება. ასევე მოლაპარაკებების დინამიკა ცხადყოფს რუსეთის სტრატეგიას, გააჭიანუროს მოლაპარაკებები, რაც ჩანს ცეცხლის შეწყვეტის განმეორებითი დარღვევებითა და ახალი მოთხოვნებით, როგორებიცაა უკრაინის მობილიზაციის შეჩერება ან საბანკო სანქციების მოხსნა, რაც მშვიდობისადმი გულწრფელობის ნაკლებობაზე მიუთითებს.

თებერვლიდან აპრილამდე, შეიძლება ითქვას, რომ ტრამპის რიტორიკა პუტინის მიმართ, შედარებით შეიცვალა. თუ დასაწყისში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რუსეთს მშვიდობა სურს, უკრაინა კი ომის დასრულებას აჭიანურებს, ბოლოდროინდელი განცხადებები მოწმობს, რომ მისი დამოკიდებულება რუსეთისადმი უფრო ხისტია. აღნიშნული განვითარება შესაძლოა უკრაინისთვის დადებითად ჩაითვალოს, მით უფრო, იმის ფონზე, რომ 30 აპრილს აშშ - უკრაინას შორის მინერალების შეთანხმებას ხელი მოეწერა, რაც უკრაინას სთავაზობს ეკონომიკურ სარგებელსა და შესაძლო თავდაცვით მხარდაჭერას აშშ-ის მხრიდან. ასევე, თუ კიტ კელოგის უახლეს განცხადებას გავითვალისწინებთ, არის მოლოდინი იმისა, რომ აშშ-ისა და ევროპა - უკრაინის მიერ შემუშავებული გეგმები გარკვეულწილად დაახლოვდება. კერძოდ, უკრაინა

ყირიმის არა - დე იურე, არამედ დე ფაქტო აღიარებას დათანხმდება, ცეცხლი კი დაუყოვნებლივ შეწყდება ყველა საზღვაო, საჰარეო და სახმელეთო ინფრასტრუქტურაზე.

დაბოლოს, საინტერესოა, რომ აშშ-ის გეგმა მოიცავს უკრაინის მიერ NATO-ში გაწევრებაზე უარის თქმას, ევროპა - უკრაინის გეგმა კი წევრობას პირდაპირ არ გამორიცხავს, თუმცა ჩანაწერი იმის შესახებ, რომ უკრაინა NATO-ს სრულფასოვანი წევრი კი არ გახდება, არამედ აშშ-მა მის დასაცავად NATO-ს მეხუთე მუხლის მსგავსი ვალდებულება უნდა აიღოს, უკრაინის დათმობებზე მიუთითებს. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ NATO-ს გენერალური მდივნის 2024 წლის ანგარიშში[38] აღარაა ჩანაწერი NATO-ს მიერ 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე აღებული ვალდებულების შესახებ, რომ უკრაინა NATO-ს წევრი გახდება და სიტყვათა შეთანხმება „უკრაინა, როგორც ალიანსის წევრობის მსურველი“ აღარ გვხვდება.[39] ამ მოცემულობით, სავარაუდოდ, უარი უკრაინის NATO-ში წევრობაზე მხარეებს შორის უკვე შეთანხმებულია.

[38] NATO (April 24, 2025). NATO publishes the Secretary General's Annual Report for 2024. Via link https://www.nato.int/cps/en/natohq/news_234810.htm

[39] Civil.ge (April 25, 2025). Georgia in NATO Secretary General's 2024 Annual Report. Via link https://civil.ge/archives/677818